დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი
წევრები:
ელენე კაკაბაძე
ქრისტინე ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245624819

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01.11.2024 წლის N 1409308 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" 31-ე მუხლის - 2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი ა.წ. 11, 12 და 13 ნოემბერს მანანა მოისწრაფიშვილმა და ელენე კაკაბძემ, ხოლო ქრისტინე ახალაძემ - 2024 წლის 13 ნოემბერს მისამართზე: ბათუმი, შავშეთის 33, ბათუმგორის ჩიხი 2.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები, შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის შესაბამისად: გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ბათუმის მერიის მიერ წარმოებული ხელახალი დამისამართების გამო დაწესებულების რეესტრის განახლებულ ამონაწერებში შეცვლილია მისამართი და ნაცვლად ქ. ბათუმი შავშეთის 29-ისა (მეორე ამონაწერი ქ. ბათუმი, შავშეთის 35) ამჯერად ფიქსირდება მისამართი ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. 33. შესაბამისად, წინამდებარე დასკვნის შედგენისას გამოყენებულია ახალი მისამართი.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
გემბანის რიგითი მეზღვაური	140	100	2	-
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	140	137	1	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**[redacted] შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**[redacted] შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1. დაწესებულებამ საჭიროა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად ქ. ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე მოისპოვოს სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნები.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინსტიტუციური სტანდარტების მიმართ:

1.1.1.4. სასურველია დაწესებულებამ ოქმების შედგენისას სრულყოფილად გაწესოს და ასახოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მათზე შესაბამისი მსჯელობა.

3.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად გაწეროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ქცევებთან დაკავშირებული წესები კი ასახოს შინაგანაწესში და თავიდან აიცილოს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში საკითხების რეგულირების სხვადასხვა ინტერპრეტაციით დუბლირება;

3.1.1.3. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიაში სასურველი არ არის შედიოდეს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის მოვალეობაც არის კოლეჯის ყველა პროცესის შეფასება, რეკომენდაციების მომზადება და განვითარება;

3.1.1.5. სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დაწესებულებამ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა და მასში ჩართული პირების ფუნქციები;

3.2.1.4. სასურველია დაწესებულებაში გაწერილი იქნას წესის სახით პროფესიული სტუდენტების მხრივ დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ჩატარების საკითხის დაყენებისა და დაფინანსების მიღების პროცედურები;

4.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანაწესი, დებულება და სტრუქტურა, კერძოდ, ტერმინებთან მიმართებაში (დამფუძნებელი თუ პარტნიორთა კრება, პედაგოგიური საბჭო თუ სასწავლო საწვრთნელი ცენტრი). ასევე, სტრუქტურულ სქემაში დაემატოს ექიმის პოზიცია;

4.1.1.2. სასურველია ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაო აღწერის დოკუმენტის შემუშავება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2.1. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეებში საკუთარი მარეგულირებელი წესებით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება და პირადი საქმეების მოწესრიგება;
4.1.2.3.
- კოლეჯმა განახორციელოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა და ისე განახორციელოს პოზიციებზე პერსონალის აყვანა;
- შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის პოზიციაზე მიღებული პირის პირად საქმეში ჩაიდოს სახელობო განათლების საბაზო პროფესიულ განათლებასთან გათანაბრების დოკუმენტი;
4.2.1.2.
სასურველია ტრენინგების თემატიკის მრავალფეროვნება და ტრენინგების გარდა სხვა აქტივობების განხორციელება მაგ. პანელური დისკუსიები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა;
5.1.1.6. სასურველია დაწესებულებამ მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი აქტების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ერთი დოკუმენტი, რომელშიც სრულად გაიწერება მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა;
5.2.1.2. დაწესებულებამ სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი გადაამუშავოს, შეივსოს და განვითაროს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე.
5.2.3.1. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.

პროგრამული სტანდარტისთვის

2.3.1.1. სასურველია დაიხვეწოს და განვითარდეს კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული კითხვარები.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ სრულად იქნა გაზიარებული ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტში ასახული შეფასება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით საბუთდება, რომ მათ მიერ დაწყებულია ხარვეზის აღმოფხვრის სამუშაოები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ეკვატორის“ მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ძირითად მიზნებთან, კერძოდ კოლეჯის მისიაა - - მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოამზადებენ შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიან მეზღვაურებს;

-სოციალური ინკლუზიის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშემწყობი გარემო.

მისიიდან გამომდინარე, კოლეჯს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;**

შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ეკვატორი“ არის მონოპროფილური დაწესებულება საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების მიმართულებით, რაც მისიაშიც არის დეკლარირებული. კოლეჯის მისიის განაცხადი საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრავს საზღვაო ტრანსპორტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას რეგიონის შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, შესატყვისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიანი მეზღვაურების მოსამზადებლად. შესაბამისად, კოლეჯი ახორციელებს გემბანის რიგითი მეზღვაურის და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია.

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ეკვატორის“ ხედვაა - შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ კოლეჯის, როგორც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში ერთ-ერთი წარმატებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია.

კოლეჯის უნიკალურ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება გუნდური მუშაობის, ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვისა და პროფესიონალიზმის, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების დარგისადმი ერთგულების პრინციპებს. მისიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველსაყოფად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებელთან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წევრებთან.

ინდიკატორი 1.1.1.3. შესაბამისობაშია.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტები, შეხვედრებზე დასწრების ფურცლები, ოქმები და ა.შ. თუმცა ოქმები არ იყო სრულყოფილად გაწერილი, არ ჩანდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მათზე მსჯელობა.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა გუნდურად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით. მათ შორის იყვნენ კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ოფიციალურ ვებგვერდზე, ველში - ჩვენ შესახებ, რაც უზრუნველყოფს საჯაროობას და ფართო აუდიტორიისათვის მათ ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია დაწესებულებამ ოქმების შედგენისას სრულყოფილად გაწესოს და ასახოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მათზე შესაბამისი მსჯელობა.

ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებ-გვერდზე - equator.ge განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები;
- მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტები (შეხვედრებზე დასწრების ფურცლები, ოქმები);
- დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N 21 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად ახორციელებს: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, ცვლილებების შეტანას, სამოქმედო გეგმის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მომზადებას და მონიტორინგს.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავდა დაწესებულების პერსონალის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას, კვლევასა და ანალიზს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელეს SWOT ანალიზი (სიძლიერე, სისუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები). სტრატეგიული გეგმის პროექტის/ცვლილების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობასა და პროცესების მართვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, რაც გაწერილი არის ასევე, მის ფუნქცია/მოვალეობებში. სტრატეგიული გეგმის პროექტის შეთანხმებული ვერსია წარედგინება დირექტორს, რომელიც ამტკიცებს სტრატეგიულ გეგმას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, რომელშიც აქტივობები ჩაშლილი და დაკონკრეტებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, შესაბამისად, **ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია.**

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრატეგიული გეგმის დაგეგმარება და შემუშავება განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, ინსტრუქტორების, დამსაქმებლების ჩართულობით. გათვალისწინებული იქნა რეგიონის პრიორიტეტები, კერძოდ, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში არსებული გამოწვევები.

ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

კოლეჯის სტრატეგიული გეგმის (2019 – 2025წწ.) მიხედვით დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან და მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს. კერძოდ, განსაზღვრულია 6 მიზანი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება, პროფესიული საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება/განხორციელება, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პერმანენტული განვითარება, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება/განვითარება, დაწესებულების ორგანიზაციული განვითარება და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, საზღვაო სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე ორიენტირება.

სამოქმედო გეგმა მოიცავს: სტრატეგიულ მიზანს, ამოცანას, აქტივობას, შესრულების ინდიკატორს, მტკიცებულებას, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/უფლებამოსილ პირს, შემსრულებელ სტრუქტურულ ერთეულს/უფლებამოსილ პირს, სხვა ჩართულ მხარეებს, ადამიანურ რესურსს, დაფინანსების წყაროს, მატერიალურ რესურსს, შესრულების სტატუსს და შენიშვნას.

ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N 21 ბრძანებით დამტკიცებული - სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025 წწ.), სამოქმედო გეგმა (2024წ.);
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი ოქმები, შეხვედრაზე დასწრების ფურცლები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N 21 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს დირექტორს. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში მინიმუმ ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. სამოქმედო გეგმით გაწერილი კონკრეტული აქტივობების შესრულების ან არშესრულების შესახებ ანგარიშს წარმოადგენს პერსონალი. ამ ანგარიშების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს ანალიზს. ანალიზში მოცემულია ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, დასახული ამოცანების ვერ/არ შესრულების მიზეზები, რეკომენდაციები.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრატეგიული გეგმის 3 წლიანი შეფასების და სამოქმედო გეგმის ანგარიშების გაცნობის საფუძველზე, რაც ასევე განთავსებულია ვებ-გვერდზე დასტურდება, რომ **ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია.**

2. **პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

კოლეჯის „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებზე რეაგირებას: ა) ცვლილება სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში; ბ) დამატებითი რესურსების გამოყოფა; გ) ვადების კორექტირება და სხვ. შესრულებული საქმიანობის ანალიზის საფუძველზე.

ვიზიტის დროს გავეცანით 2022, 2023 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშებს და სტრატეგიული გეგმის (2019-2025 წწ.) შუალედურ ანგარიშს. ანგარიშებში გათვალისწინებულია კვლევის შედეგები, რაც ეფუძნება ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, კურსდამთავრებულთა, საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს. ასევე, შეფასებულია ძლიერი და სუსტი მხარეები.

ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N 21 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მე-5 მუხლი ითვალისწინებს, სამოქმედო გეგმის შესრულებული სამუშაოს ანგარიშს. აღნიშნული მუხლის თანახმად: სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საანგარიშო წლის ბოლოს აისახება შესრულებული სამუშაოს ანგარიშში, რომელიც ეფუძნება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების მიერ წარდგენილ ანგარიშებს და სხვა მტკიცებულებებს. შესრულებული სამუშაოს ანგარიშში ასახული რეკომენდაციები აისახება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ბოლო ორი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ქვეყნდება ვებ-გვერდზე. მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია 2022 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშები.

ინდიკატორი 1.2.2.3. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N 21 ბრძანებით დამტკიცებული - სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025 წწ.), სამოქმედო გეგმა (2024წ.);
- კოლეჯის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შუალედური ანგარიში;
- კოლეჯის სამოქმედო გეგმის (2022 – 2023 წწ.) ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" დირექტორის 2023 წლის 31 იანვრის N00000746 ბრძანებით დამტკიცებულია შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მუხლებში 6-17 გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, კერძოდ: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, მობილობა და მიღებული განათლების აღიარება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური, პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესი, მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრების პროცედურა, კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესშის ასევე აღწერილია პროფესიული სტუდენტის უფლება მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების შესახებ და სხვა საკითხები, რომელიც მიემართება პროფესიული სტუდენტების უფლებებს.

ზოგ შემთხვევაში მარეგულირებელ წესში ჩანაწერები ძალზე ზოგადია და არ აკონკრეტებს პროცედურებს, პასუხიმგებელ პირებსა თუ სხვა საჭირო საკითხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში დაწესებულებას აქვს ცალკე ბრძანებით გამოცემული მარეგულირებლები, რომლებიც დამატებით არეგულირებენ ამა თუ იმ საკითხს. მაგ. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვა, კვალიფიკაციის მინიჭების წესი, პროფესიულ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი და სხვ. ამ შემთხვევაში, დოკუმენტებში დაწვრილებითაა გაწერილი ყველა საჭირო საკითხი, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტებმა ერთხმად მიიჩნიეს, რომ პროფესიული სტუდენტის ინფორმირების მიზნით სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აისახოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დამატებით არეგულირებს ამ წესში მოცემულ საკითხებს, რითიც გამოირიცხება დასარეგულირებელ საკითხთა დუბლირება და შესაძლოა მათ შორის უზუსტობებიც, რის თაობაზეც დაწესებულებას მიეცა განმავითარებლი რეკომენდაცია.

შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" დირექტორის 2022 წლის 12 აპრილის N00002761 ბრძანებით დამტკიცებულ შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" წესდებაში გაწერილია მხოლოდ დასაქმებულთა საკითხების რეგულირება, უფლებები და მოვალეობები, ასევე წახალისების ზომები, პროფესიულ სტუდენტთა საკითხების შესახებ კი არ არის ასახული მასში, რაც საჭიროა შეივსოს. აღნიშნული ინფორმაცია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებს გახდის უფრო სრულყოფილს და მარტივად აღქმადს. აღნიშნული საკითხიც განხილული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და გაიცა რეკომენდაცია.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და შინაგანაწესში, ასევე სხვა ცალკეულ დოკუმენტებში ასახული პუნქტები სრულად უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რომლებიც მარეგულირებელი აქტების მიხედვით იყო შესრულებული, ხოლო პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და მობილობის შემთხვევები კოლეჯს არ ჰქონია.

შესაბამისად 3.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებლი რეკომენდაცია რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად გაწეროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინასთან დაკავშირებული წესები კი ასახოს შინაგანაწესში და თავიდან აიცილოს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში საკითხების რეგულირების სხვადასხვა ინტერპრეტაციით დუბლირება.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინტერვიუების საფუძველზე გადამოწმდა რამდენად იცნობენ პროფესიული სტუდენტები მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი პროფესიული სტუდენტების მიღების შემდგომ ეწყობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრები, რომლებიც მათ აცნობენ სასწავლო პროცესებთან, შეფასებებთან, უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებულ წესებს.
ასევე, პროფესიულ სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებაშიც გაწერილია მათი უფლებების შესახებ ძირითადი და საკვანძო ინფორმაცია, ასევე ვალდებულება რომ უნდა იცნობდეს და იცავდეს კოლეჯის მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს.
დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა უფლებების ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროა და გაზიარებულია დაწესებულების ვებ გვერდზეც.
პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ უფლებებს.
შესაბამისად ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორში“ შემუშავებულია დოკუმენტი ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც გაწერილია მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, სადაც სხვა ძირითად საკითხებთან ერთად მე-7 პუნქტი ეხება აპელაციის პროცესსა და მის ვადებს. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ. ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურის შესახებ, თუმცა შეფასების გასაჩივრება არასოდეს დასჭირვებიათ.
ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიაში სასურველი არ არის შედიოდეს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის მოვალეობაც არის კოლეჯის ყველა პროცესის შეფასება, რეკომენდაციების მომზადება და განვითარება. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების პროცედურების დაცვისა და მიუკერძოებელი შეფასების პროცესების შეფასებაც.
შესაბამისად ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები, დავათა გადაწყვეტის წესი, სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები. ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია პროგრამის დასახელება და ხანგრძლივობა.

დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს გადამოწმებული იქნა არასრულწლოვანი სტუდენტის პირადი საქმეც, რომლითაც დასტურდება, რომ არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, პირად საქმეში კი დაცულია ხელმომწერი პირის პირადობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი.

შესაბამისად ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია და პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. დაწესებულებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეიმუშავების და განახორციელების მექანიზმები აღწერილი აქვს დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, რომლის თანახმად გამოვლენილი საჭიროებ(ებ)ის ან/და პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს ადგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

დაწესებულების განმარტებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების საჭიროება არ დამდგარა. რაც შეხება მარეგულირებელ დოკუმენტში არსებულ ჩანაწერს, რომ ,,ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს ადგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად“ იგულისხმება ამ უკანასკნელის მონაწილეობა პროცედურებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა დაცვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დადასტურების მიზნით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დაწესებულებამ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა და მასში ჩართული პირების ფუნქციები.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის მიუხედავად ინდიკატორი 3.1.1.5 სრულადაა დაკმაყოფილებული და პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2023 წლის 31 იანვრის N00000746 ბრძანებით დამტკიცებული შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დირექტორის 2022 წლის 12 აპრილის N00002761 ბრძანებით დამტკიცებულ შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" წესდება;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტები;
- სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტენის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კვალიფიციური კონსულტაციას როგორც პროგრამების ადმინისტრირებისას, ასევე მოდულების განხორციელებისას სხვადასხვა საინტერესოს საკითხებზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან და შეფასების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მექანიზმების, პროფესიული მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობების შესწავლისა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს ისინი პერმანენტულად უწევენ კონსულტაციას, რაც დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებისა და კონსულტირების პროცესზე პასუხისმგებელი პირია პროფესიული მასწავლებელი და ასევე, საჭიროების შემთხვევაში ერთვება პროგრამის ხელმძღვანელიც.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სტუდენტების სწავლის დაწყებიდან ადაპტაციაში აქტიურად არის ჩართული თითოეული მათგანი. მათი ჩარიცხვის შემდგომ ტარდება შეხვედრა, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ხვდებიან ადმინისტრაციული პერსონალი და პროგრამის განმახორციელებლები, ისინი უზრუნველყოფენ მათთვის პროცედურების, სასწავლო გარემოს, სასწავლო პროგრამებისა, მათი უფლებების და კარიერული შესაძლებლობების გაცნობას.

საერთო შეხვედრის შემდგომ ასევე იმართება შეხვედრა ჯგუფების მიხედვით, რომელსაც წარუძღვება პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი, რათა მოხდეს მათთან პროფესიული პროგრამის შესახებ და სწავლის სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია და პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" შიდა მარეგულირებელი აქტების შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს ადმინისტრაციული მხარდაჭერა შესაბამისი საკითხების მიხედვით რეგულირდება საქმისწარმოების წესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით.

პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოთხოვნა და მიღება მათ შეუძლიათ, როგორც ადგილზე მისვლით ასევე, ციფრული საკომუნიკაციო საშუალებითაც. თითოეული ტიპის საკითხის განხილვის და პასუხის მიღების ვადები განისაზღვრება ზემოაღნიშნული მარეგულირებელი აქტების მიხედვით და დაწესებულების რეაგირება არის სწრაფი.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. დაწესებულების განმარტებითა და ვებგვერდის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ კოლეჯში წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და მხარდაჭერილია პროფესიული სტუდენტების ინიციატივები. იმართება სხვადასხვა შეხვედრები, შეჯიბრებები და ექსკურსიები. მათ შესახებ ვებგვერდის სიახლეების ველში მოცემულია ინფორმაციები.

ადმინისტრაციის განმარტებითა და კოლეჯის ბიუჯეტის ანალიზით დგინდება, რომ ყოველწლიურადაა განსაზღვრული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში პროფესიული/საგანმანათლებლო და კულტურულ/სპორტული პროექტების აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა.

სასურველია დაწესებულებაში გაწერილი იქნას წესის სახით პროფესიული სტუდენტების მხრივ დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ჩატარების საკითხის დაყენებისა და დაფინანსების მიღების პროცედურები, მიუხედავად რეკომენდაციისა ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და კვლევის შედეგები. პროფესიულმა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობენ აღნიშნულ კვლევებში. დაწესებულება გულდასმით შეისწავლის მათი გამოკითხვის შედეგებს და ახდენს რეაგირებას მათ მიერ დაყენებული საკითხების შესახებ.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებლია და პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2022 წლის 12 აპრილის N00002761 ბრძანებით დამტკიცებულ შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სტრატეგიული განვითარების და წლიური სამოქმედო გეგმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- საქმისწარმოების წესი;
- შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" ბიუჯეტის ანალიზი;
- პროფესიული სტუდეტების მიერ არაფორმალურ აქტივობებში ჩართვის შესახებ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული მტკიცებულებები;
- სტუდენტთა კვლევის კითხვარები და კვლევის შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას საშტატო განრიგით დასაქმებული ჰყავს კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მენეჯერი. მისი ფუნქციაა პროფესიული სტუდენტების სასწავლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მხარდაჭერა. კოლეჯში სისტემატურად ეწყობა პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის შეხვედრები. ასევე, ღია კარის დღეები პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის რათა მათ სწორად დაგეგმონ თავიანთი კარიერა და ჰქონდეთ სრული ინფორმაცია დასაქმების შესახებ. კოლეჯს აქვს კურსდამთავრებულთა ბაზა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას კურსდამთავრებულებსაც უზიარებს.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია და კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. კოლეჯის კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მენეჯერი სისტემატურად იძიებს ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ და ახდენს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების შესაძლებლობების გაცნობას. იგი აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზებს.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებბულებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ ტელეფონის, იმეილების და სოციალური ქსელების საშუალებით.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია და პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. დაწესებულება პერიოდულად შეისწავლის და ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირია კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მენეჯერი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევა და მისი შედეგები. აღნიშნულ კვლევებში მონაწილეობა დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც ინტერვიების ფარგლებში.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია და პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4. კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი პერმანენტულად განიხილავს კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს. ისინი აკეთებენ ანალიზს, რა საშუალებებით არის შესაძლებელი მათი კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების მაჩვენებლები გაზარდონ და ამ მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობენ საზღვაო სააგენტოსთან და იგივე პროფილის სასწავლო დაწესებულებებთან. ასევე აწყობს საჯარო შეხვედრებს წარმატებულ კურსდამთავრებულებთან სწავლის შემდგომ პროცესებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ.

შესაბამისად ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია და კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მენეჯერის ფუნქციები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- სტუდენტთა კვლევის კითხვარები და შედეგები;
- პროფორიენტაციული შეხვედრების ამსახველი მასალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი და დებულება. შინაგანაწესში (მუხლი 5) განსაზღვრულია კოლეჯის მართვის ორგანოები და სტრუქტურა, რომლის მიხედვით კოლეჯის მართვის ორგანოებია - დირექტორი და პარტნიორთა კრება, რომელთა დანიშვნის/შექმნის წესი და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის წესდებით. ხოლო, კოლეჯის სტრუქტურა შედგება კოლეჯის დირექტორის, ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინსტრუქტორების, ტექნიკური პერსონალის და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან. დებულების თანახმად, კოლეჯი შედგება მართვის ორგანოებისაგან და ადმინისტრაციისაგან. მართვის ორგანოებია: დამფუძნებელი და დირექტორი. ადმინისტრაციაში განსაზღვრულია შემდეგი სტრუქტურული/საშტატო ერთეულები: დირექტორი, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, ბიბლიოთეკა, კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, პროფესიული სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთობის მენეჯერი, იურისტი, IT მენეჯერი, შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი, უსაფრთხოების სპეციალისტი, ექიმი. სტრუქტურული/საშტატო ერთეულების დაქვემდებარების სისტემას და მათ ურთიერთკავშირს ასახავს კოლეჯის სტრუქტურული სქემა. დებულებაში განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სტრუქტურულ სქემაში გათვალისწინებულია სასწავლო საწვრთნელი ცენტრი, ხოლო საშტატო ერთეულებში - პედაგოგიური საბჭო. სტრუქტურულ სქემაში არ არის გათვალისწინებული ექიმი, თუმცა სტრუქტურულ/საშტატო ერთეულებში ექიმის პოზიცია არის მითითებული.

ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - შესაბამისობაში მოიყვანონ: შინაგანაწესი, დებულება და სტრუქტურა, კერძოდ, ტერმინებთან მიმართებაში (დამფუძნებელი თუ პარტნიორთა კრება, პედაგოგიური საბჭო თუ სასწავლო საწვრთნელი ცენტრი). ასევე, სტრუქტურულ სქემაში დაემატოს ექიმის პოზიცია.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია.

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია: ზოგადი ინფორმაცია, ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო განათლება, თანამდებობრივი მოვალეობის განსახორციელებლად საჭირო სამართლებრივი დოკუმენტები, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო კომპიუტერული პროგრამების ფლობა, ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციები, თანამდებობაზე მუშაობის დამწყების სავალდებულო და სასურველი გამოცდილება, სამუშაოს შესასრულებლად სავალდებულო და სასურველი ენების ცოდნა. დოკუმენტის ბოლოში არის ჩანაწერი, რომ პირი გაეცნო აღნიშნულ დოკუმენტს, კოლეჯის შინაგანაწესს, დებულებას და ხელმოწერით ადასტურებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი ფუნქცია-მოვალეობების დუბლირება არ ხდება და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელს უწყობს. თუმცა, კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაო აღწერის დოკუმენტი არ არის შემუშავებული. კერძოდ, ბიბლიოთეკარის, კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, იურისტის და სხვა.

საჭიროა სამუშაო აღწერის დოკუმენტის გადახედვა, ყველა ფუნქცია-მოვალეობის გათვალისწინება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ტექნიკური ხარვეზების გასწორება: მაგ. IT მენეჯერი (საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა და სხვა).

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტებმა გავეცით განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაო აღწერის დოკუმენტის შემუშავება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

კოლეჯის მიერ შემუშავებულ დებულებაში და სამუშაო აღწერის დოკუმენტში გაწერილია ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) ციკლის პრინციპით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის პოლიტიკა და მიზნები დოკუმენტით და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასაწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან.

აღნიშნული დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით და ხარისხის მართვის მენეჯერთან, სპეციალისტთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრუქტურული სქემა;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 12 აპრილის N 00002761 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N 00008130 ბრძანებით დამტკიცებული დებულება;
- სამუშაო აღწერის დოკუმენტი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის პოლიტიკა და მიზნები.
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

კოლეჯში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობით, დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით, დებულებით და შინაგანაწესით. კოლეჯის პერსონალი შედგება: ადმინისტრაციული პერსონალისაგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, ინსტრუქტორებისგან და მოწვეული პირებისაგან.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და აკადემიის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას. თუმცა, პირადი საქმეები არაა სრულად დაკომპლექტებული.

განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან, მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან დაკავშირებით, პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეებში საკუთარი მარეგულირებელი წესებით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება და პირადი საქმეების მოწესრიგება.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

კოლეჯი პერსონალის მოზიდვის უზრუნველსაყოფად მიმართავს შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდვას: პერსონალის მოზიდვის შიდა წყაროა - კოლეჯში დასაქმებული პერსონალი, ხოლო პერსონალის მოზიდვის გარე წყაროა - კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული /გამოქვეყნებული განცხადებები. პერსონალის მოზიდვა შესაძლებელია კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენებით ან/და ვაკანსიების განთავსებით კოლეჯის ვებ-გვერდზე/სხვადასხვა ვებ-პორტალებსა და სოციალურ ქსელებში.
დოკუმენტაციის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში დასაქმებულია შიდა წყაროებით მოზიდული პერსონალი.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

კოლეჯს დირექტორის 2022 წლის 4 ნოემბრის N 00010413 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, გამოცდილების, საჭიროების შემთხვევაში, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენის ცოდნის, აგრეთვე სხვა პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას. პერსონალის სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას კოლეჯის დირექტორი იღებს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და/ან საკონკურსო კომისიის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე. პირადი საქმეების გადამოწმებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დამტკიცებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, კოლეჯს შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის პოზიციაზე მიღებული ჰყავს პირი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს სახელობო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი / მოწმობა, რომელზეც არ აქვს წარმოდგენილი საბაზო პროფესიულ განათლებასთან გათანაბრების დოკუმენტი. საკვალიფიკაციო მოთხოვნა კი აღნიშნულ პოზიციაზე აქვთ - აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება. ასევე, IT მენეჯერის პოზიციაზე მყოფ პირს არ აქვს IT მიმართულების განათლება, რასაც ითხოვს კოლეჯი მის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, მაგრამ ორივე მათგანს აქვს აღნიშნულ სფეროში მუშაობის მრავალწლიანი მრავალწლიანი გამოცდილება და შეუძლიათ უზრუნველყონ დაკავებული თანამდებობის მიხედვით ფუნქციების შესრულება.

ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. კოლეჯმა განახორციელოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა და ისე განახორციელოს პოზიციებზე პერსონალის აყვანა;

2. შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის პოზიციაზე მიღებული პირის პირად საქმეში ჩაიდოს სახელობო განათლების საბაზო პროფესიულ განათლებასთან გათანაბრების დოკუმენტი.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზნებია: ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელება, კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოტივაციის ამაღლება, კარიერული ზრდა, გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა სასწავლო კოლეჯის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში. ამოცანებია: პერსონალის მოზიდვა, ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, პერსონალის შეფასება, განვითარება, ტრენინგები, შრომითი ურთიერთობების რეგულირება, შრომის ანაზღაურება და მატერიალური წახალისება, დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობები, კონფიდენციალობის დაცვა და კორპორაციული ეთიკა. თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია გულისხმობს - თანამშრომელთა შორის ურთიერთობების რეგულირებას, გუნდურობის ჩამოყალიბებას, თანამშრომელთა მხრიდან ინიციატივებისა და იდეების გაზიარებას. კოლეჯის კორპორაციული ეთიკა გულისხმობს კოლეჯის საქმიანობის წარმართვის პრინციპებს, ფასეულობებს, ქცევის სტანდარტებს, შრომით ატმოსფეროს, პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს. პერსონალი პატივს უნდა სცემდეს კოლეჯსა და მის ტრადიციებს. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურეობრივი სუბორდინაციის პრინციპი.

ექსპერტების ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებულია გუნდური თანამშრომლობის პრაქტიკა, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ისე სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 4 ნოემბრის N 00010413 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 7 ივნისის N 00004366 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შეფასებას, განვითარებას და ტრენინგებს. პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის განვითარების საჭიროება, წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები.

შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ წლის ბოლოს (ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. პერსონალის ზრდა-განვითარებისათვის კოლეჯი ატარებს გამოკითხვებს, აფასებს შესრულებულ სამუშაოს და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახდენს მომზადება-გადამზადებას.

ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

კოლეჯის პერსონალის განვითარება ხორციელდება კითხვარის საშუალებით მათი გამოკითხვით. გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე კოლეჯი ავლენს პერსონალის საჭიროებებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად და აქტივობის სახით ითვალისწინებს სამოქმედო გეგმაში. დაწესებულებამ წარმოგვიდგინა აღნიშნული პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცი: ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარის ანალიზი, სამოქმედო გეგმები (2021, 2022, 2023 წლების), ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და სერტიფიკატები. ასევე წარმოადგინეს განვითარების ღონისძიებებში ჩართულობის სტატისტიკა. ტრენინგების თემატიკა 2021, 2022, 2023 და 2024 წლების განმავლობაში ეხებოდა: პროფესიული სტანდარტის შეფასებას, სწავლა სწავლებას, კომპეტენციაზე დაფუძნებულ შეფასებას, სწავლა სწავლების მეთოდებს, სწავლების სტრატეგიებს და შეფასების სისტემას, ეფექტური მომსახურების სტანდარტებს, ეფექტურ სწავლებას პროფესიულ განათლებაში სწავლება და შეფასებას, შეფასების სისტემას პროფესიულ განათლებაში - პროცესი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება და ა.შ.

ექსპერტებმა გავეცით განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია ტრენინგების თემატიკის მრავალფეროვნება და ტრენინგების გარდა სხვა აქტივობების განხორციელება მაგ. პანელური დისკუსიები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა.

ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწესებულება ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯის როგორც სტრატეგიულ ისე სამოქმედო გეგმაში. კოლეჯში პერიოდულად ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე. ასევე ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითშეფასება და საჭიროებათა კვლევა და კვლევის შედეგების საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები.

ექსპერტები გავესაუბრეთ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებმაც დაგვიდასტურეს ტრენინგებში მონაწილეობა. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოგვიდგინა ტრენინგზე დასწრების ფურცლები და სერტიფიკატები.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან, ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და კოლეგები. ახალი თანამშრომელი ეცნობა და ხელს აწერს თანხმობის შესახებ შემდეგ დოკუმენტებზე: კოლეჯის დებულება, შრომის შინაგანაწესი, სამუშაო აღწერილობა, მატერიალურ პასუხისმგებლობაზე შეთანხმება. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ახალი თანამშრომელი ადასტურებს თანხმობას საჭიროების შემთხვევაში პირადი მონაცემების გამოყენებაზე. კოლეჯს შემუშავებული აქვს თანამშრომლის ადაპტაციის გეგმას, რომელიც მოიცავს: განსახორციელებელ აქტივობას, აქტივობის დეტალურ აღწერას და შემსრულებელს.

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კოლეჯის შინაგანაწესი და პერსონალის მართვი პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის წახალისებას. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს დასაქმებულის მიმართ წახალისების ზომები შემდეგი გარემოებების არსებობისას: კონკრეტული დამსახურებისთვის, რომელიც აღემატება დასაქმებულის ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს და დაკავშირებულია ზედმეტ ძალისხმევასთან, კონკრეტული დამსახურებისთვის, რომელიც შედის დასაქმებულის სამსახურებრივ მოვალეობებში მაგრამ შესრულებულია სანიმუშოდ, განსაკუთრებული სირთულის მქონე დავალების წარმატებით შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი შრომისთვის, კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის. დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქარი, სადღესასწაულო პრემია. დასაქმებულის წასახალისებლად შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებული იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

ექსპერტები გავესაუბრეთ დაწესებულების პერსონალს, რომლებმაც დაადასტურეს მათი წახალისების შესახებ ინფორმაცი და წარმოგვიდგინეს დირექტორის ბრძანება მათთვის გაცემული ფულადი ჯილდოების შესახებ. ასევე აღნიშნეს, რომ ბოლო სამი წელია ყოველ წელს 10%-ით ეზრდებათ ხელფასი.

ინდიკატორი 4.2.1.5. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარის ანალიზი,;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და სერტიფიკატები ;
- განვითარების ღონისძიებებში ჩართულობის სტატისტიკა;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების საქმიანობა ორივე ლოკაციაზე ქ. ბათუმში, შვშეთის ქ, 33 და ქ, ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2 უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, კერძოდ: დაწესებულება ფლობს უძრავ ქონებას ორივე ლოკაციაზე და შენობა-ნაგებობების მფლობელობასთან დაკავშირებით წარმოადგინა განახლებული ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, რომელშიც აღმოჩნდა, რომ ბათუმის მერიის მიერ ხელახალი დამისამართების პროცესიდან გამომდინარე, ***კოლეჯის მისამართი შეცვლილია და ნაცვალად ქ. ბათუმი, შავშეთის ქ.29-ისა, გახდა ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. 33. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა იქვე გამოთქვა მზაობა აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის. ავტორიზაციის ექსპერტებმა წინამდებარე დასკვნის შედგენისას გაითვალისწინეს განახლებული მისამართი.***

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი შენობები მოიცავს: 2 ფოიეს, 8 თეორიული სწავლების თანამედროვედ აღჭურვილ აუდიტორიას, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა საჭირო რესურსებით აღჭურვილ 3 გარემოს, 2 თანამედროვე სიმულატორებით აღჭურვილ სახელოსნოს, 2 დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტსახელოსნოებს, სივრცეებს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს პროფესიული სტუდენტებისათვის, არქივს, ბიბლიოთეკას, საწვრთნელ აუზს შესაბამისი აჭღურვილობით, სახანძრო ტრენაჟორს, გასახდელებს, ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნულ სანიტარულ კვანძებს, მათ შორის შშმ პირებისთვისაც ბიბლიოთეკას, სამედიცინო კაბინეტსა და სასადილო ოთახს.

დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში არსებული ყველა ფართი გარემონტებულია მაღალი ხარისხით, აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიით, კომფორტული ინვენტარით და პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით. მატერიალური რესურსი ფლობა დასტურდება საბუღალტრო დოკუმენტაციითა და ინვენტარიზაციის აქტებით. **წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ ინდიკატორის 5.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.**

2. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, პუნქტი 3-ისმიხედვით პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. ლექციებს შორის, შესვენების პერიოდში მათ შესაძლებლობა აქვთ დასვენებისთვის ისარგებლონ დაწესებულების ფოიეებით. გასაუბრებს შედეგებიდან იკვეთება რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ მარეგულირებელ წესებს და დადგენილი წესების ფარგლებში იყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურასა თუ სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო რესურსებს.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები კოლეჯის მარეგულირებელი წესების მიხედვით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. მათ შორისთვისაც.

ინდიკატორის 5.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მფლობელობაში ყველა ფართში არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. დაწესებულებაში მოქმედებს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სასწავლო/სამუშაო და სხვა სივრცეების დასუფთავები წესი და პერიოდულობა. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დამლაგებლებთან, რომელთა ფუნქცია-მოვალეობებით გაწერილია ნორმების დაცვისთვის საჭირო მათ მიერ განსახორციელებელი ქმედებები. გარდა მისა დაწესებულებას ჰყავს ექიმი.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ვლინდება, რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყოფილია სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებზე პასუხისმგებელი პირები. რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე გასაუბრების შედეგებითაც. დაწესებულების შენობას აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, წყალმომარაგება, უზრუნველყოფილია ხელსაბანი სითხეებით, საშრობი ქაღალდებითა და სხვა საჭირო რესურსებით. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.3 მოთხოვნები დაცულია და დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4. კოლეჯის საქმიანობისთვის განსაზღვრულ ორივე შენობა სრულადაა უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. მისი გამართული მუშაობის დასადასტურებლად შესწავლილი იქნა კომუნალური გადახდის ქვითრები.

შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ორივე ლოკაციაზე არსებული პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5. კოლეჯს დასაქმებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული ინსპექტორი, რაც დასტურდება დასაქმებული პირის პირად საქმეში არსებული აკრედიტებული კურსის გავლის დოკუმენტით, რომელიც ვალიდურია. დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და შესაბამისად ხორციელდება სხვადასხვა აქტივობების ჩატარება, მაგ. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მათ შორის უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავებას და აღნიშნულის შესახებ დაწესებულების პერსონალის ინფორმირებას, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებზე კონტროლს, სახანძრო ინსტრუქციის შემუშავებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით რისკების შეფასებას, პრევენციასა და მართვას, რისკების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას, შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რეგულარულად ჩატარებას დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

გამომდინარე აქედან, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 5.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში შემუშავებულია ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები", ,,მატერიალური რესურსების მართვის წესი", ,,სასწავლო და ტექნოლოგიური პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა" და ,, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი", რაც არეგულირებს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენის, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების ჩამოწერის წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თუ როგორ უნდა მოხდეს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა/შეძენა, შენახვა, გამოყენება, გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია. ინტერვიუს დროს, პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურებს რომ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა საჭირო მასალებითა და ნედლეულით.

ავტორიზავიის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებაში მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი აქტების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ერთი დოკუმენტი, რომელშიც სრულად გაიწერება მატერიალური რესაურსების მართვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

მიუხედავად გაცემული განმვითარებელი რეკომენდაციისა, ინდიკატორის 5.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. კოლეჯში მოქმედებს ხარისხის სახელმძღვანელო და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სამსახურის მიზნების, ამოცანების, ფუნქციებისა და პერსონალის შესახებ. აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულარულ შეფასებასა და მათ განვითარებაზე ზრუნვას, კოლეჯის რესურსების და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენას ავტორიზაციის სტანდარტებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან და ჩარჩო დოკუმენტებთან. გარდა ამისა, დაწესებულება ახორციელებს გამოკითხვას საბიბლიოთეკო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შესახებ და ასევე პერიოდულ აღწერას/ინვენტარიზაციას. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელებისათვის, დაწესებულებაში ხორციელდება მონიტორინგი. ამასთან, შემუშავებული აქვთ 2024 წლის ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი. **საერთო ჯამში, ექსპერტთა მოსაზრებით, ინდიკატორის 5.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. კოლეჯის პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილ შენობებში ორივე ლოკაციაზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, მათ შორის შშმ პირებისთვისაც ადაპტირებულია. შესაბამისად **ინდიკატორის 5.1.1.8. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მფლობელობაში ორივე მისამართზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

9. დაწესებულების პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილ ორივე შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მათში არსებულ სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და ბიბლიოთეკებს აქვთ როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლისთვის/მუშაობისთვის საჭირო შესაბამის პირობებს. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.9 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

10. დაწესებულების პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილ ორივე შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სამუშაო და სასწავლო სივრცეები ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას და **ინდიკატორის 5.1.1.10 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;**

11. ვიზიტის ფარგლებში, დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და სამკითხველო სივრცე აღჭურვილია ინტერნეტკავშირით, უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და საგანმანათლებლო რესურსებით. ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია შშმ პირებისათვის წვდომა. ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი და სხვა დამატებითი სასწავლო რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნის გატანის სერვისით, ან ადგილზე გამოიყენონ არსებული სასწავლო რესურსები.

დაწესებულებას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელნია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. იგი საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად უზრუნველყოფს წიგნების აღრიცხვას, ჟურნალში გატარებასა და კატალოგში დამატებას. ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით. ბიბლიოთეკებში თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და მოიცავს ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსებისა და ამ რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სარგებლობის უფლებების, საბიბლიოთეკო დოკუმენტის გატანა-დაბრუნების, მომხმარებლის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, სამუშაო განრიგისა და სხვა ზოგადი დებულებების შესახებ.
დაწესებულება ჩართულია OpenBiblio-შიც, რომლის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს წვდომა აქვს ელექტრონულ კატალოგზე.
დაწესებულება ასევე სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას საბიბლიოთეკო რესურსებთან და მათ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებითაც. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.1.1.11 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ''სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'';
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- მატერიალური რესურსების მართვის მარეგულირებელი აქტები;
- შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის პირადი საქმე;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- მედდის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა 24.12.2021-ში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემოწმების აქტი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში-გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე, რომლის მიხედვით დაწესებულება ქ. ბათუმში, შავშეთის ქ, 33-ში განლაგებულ შენობა-ნაგებობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, თუმცა ასეთივე დასკვნა, დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კოლეჯის მეორე ფართზე, რომელიც განლაგებულია ქ. ბათუმში, ბათუმგორის ჩიხში 2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების მდგრადობის შესახებ დასკვნა ქ. ბათუმში, შავშეთის ქ, 33-ში განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე, რაც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობა მდგრადი და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის, თუმცა ამ შემთხვევაშიც ქ. ბათუმში, ბათუმგორის ჩიხში 2 განლაგებულ შენობაზე დაწესებულებას არ ჰქონდა მდგრადობის დასკვნა.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური დათვალიერებით შენობა კარგ მდგომარეობაში იყო, ექსპერტები ვადასტურებდით, რომ განსახილველი შენობა აღჭურვილი იყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, დაწესებულებას განემარტა, რომ საჭირო იყო კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნები შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, რაც დაადასტურებდა მისი სასწავლო მიზნებით გამოყენების უსაფრთხოებას.

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას ქ. ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნები, ინდიკატორის 5.1.2.1 მოთხოვნა ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში შეფასდა, როგორც შეუსაბამო და დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაუცველობის გამო.

შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნალი ცენტრის ,,ეკვატორის“ მიერ N21383 (16/12/2024) არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის წერილისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომელიც დაამტკიცა დირექტორის მფ-2 N02-01 (16.12.2024) ბრძანებით, ასევე, მიწერა წერილი (N07, 21.11.2024) ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, რათა შეფასებული იქნას განსახილველი შენობის მდგრადობა და გაცემული იქნას შესაბამისი დასკვნა და წერილი (N21046, 11.12.2024) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაკმაყოფილების შესახებ დასკვნის გასაცემად.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა რელევანტურადაა შედგენილი, როგორც განსახორციელებელი აქტივობების ვადების (დასრულების ვადა 25.05.2025), პასუხისმგებელი პირების, ისე რესურსების თვალსაზრისითაც და ეჭვს არ იწვევს მისი შესრულების შესაძლებლობა.

შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორის 5.1.2.1 მოთხოვნა შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისი, დაწესებულებამ საჭიროა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად ქ. ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე მოისპოვოს სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნები.**

2. დაწესებულებას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექიმთან, რომლის პირადი საქმის შესწავლით დასტურდება მისის კომპეტენცია. მისი საქმიანობა რეგულირდება ფუნქცია-მოვალეობებით და ასევე, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით. სტუდენტები და კოლეჯში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და კაბინეტის განრიგის მუშაობის შესახებ. ექიმი ასევე აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალს. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.1.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. დაწესებულებას წარმოადგინა კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომლითაც შემუშავებულია კოლეჯის ,,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ და განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა, ასევე რისკები. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტორი დადგენილი გრაფიკით ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟების, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ჟურნალები და ფოტომასალა. **ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის 5.1.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

4. დაწესებულების შენობა-ნაგებობების შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები და ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. ქ. ბათუმში შავშეთის ქ. 33-ში განლაგებულ კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დაწესებულების დაცვის თანამშრომლები, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და კოლეჯის ადმინისტრაცია. ხოლო ქ. ბათუმში, ბათუმგორის ჩიხის 2-ში განლაგებული შენობის დაცვის მიზნნით გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება. წესრიგის დაცვისა და სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესით. დაწესებულების შენობებში და მის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო-კამერების ფუნქციონირების გამართულობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომლები. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 5.1.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის პირადი საქმე;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- მედდის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- წესრიგის დაცვის რეგულაციები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები (პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაძლებლობის არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობის შესახებ, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების ნაწილში კმაყოფილების შესახებ);
- კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ქ. ბათუმში შავშეთის ქ. 33 განთავსებულ შენობაზე დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ
- ქ. ბათუმში შავშეთის ქ. 33 განთავსებულ შენობაზე დასკვნა მდგრადობის შესახებ;
- შესაბამისობის გეგმა;
- ბრძანება შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- წერილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს;
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე ქსელური ინტერნეტი, რაც დადასტურდება ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის საფასურის გადახდის დოკუმენტაციით. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

დაწესებულება საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანად ისახავს სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებას და საგანმანათლებლო პროცესების მართვას ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი, რომლის მიხედვითაც ახორციელებს პროცესებს, თუმცა აღნიშნული წესი მწირია. დაწესებულებამ სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი გადაამუშავოს, შეივსოს და განვითაროს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა, მიუხედავად განმავითარებელი რეკომენდაციისა, დაწესებულებას გააზრებული აქვს IT რისკები, ახდენს რისკების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატურად რეაგირებს ამ რისკების თავიდან აცილებაზე და ახორციელებს საპრევენციო ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა პროგრამების განახლება, ანტივირუსების განახლება, სარეზერვო ასლების შექმნა და სხვა. დაწესებულება ქსელის მართვაში იყენებს ქსელის მონიტორინგის სისტემებს, ქსელისა და სისტემების უსაფრთხოების მართვის სისტემას, რომელიც მოიცავს ანტივირუსს, აპლიკაციების კონტროლს და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

2. დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით მოქმედებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გამოცემულია შესაბამისი შიდა რეგულაცია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი,“ რომლის შესაბამისად ფუნქციონირებს თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ვებგვერდსა და სხვა საჯარო სივრცეში პერსონალურ მონაცემთა შემცველი ინფორმაციის განთავსება, დოკუმენტაციის წარმოება, მათი შენახვა და სხვ..

ასვე, დაწესებულებას აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობით მოთხოვნილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან და გაწერილი აქვს მისთვის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

წარმოდგენილი რეგულეციების შესწავლის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და **გამომდინარე აქედან, ინდიკატორის 5.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

3. დაწესებულების გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც აფასებს როგორც IT ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და ახორციელებს მის გაუმჯობესებას. ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარების მექანიზმების თანახმად ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას, მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას. იდენტიფიცირებული საჭიროების განხილვა-ანალიზში მონაწილეობენ სისტემის მომსახურებაში ან/და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების/დანერგვის საჭიროების იდენტიფიცირება ხდება პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე. კოლეჯს გააჩნია ელექტრონული პლატფორმების გამოყენებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სასწავლო/სამუშაო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულება აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას და ახალი სისტემების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში ითვალისწინებს სისტემების ტექნიკურ და ფუნქციურ შესაძლებლობებს, რათა არ მოხდეს სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფერხება. **შესაბამისად, განხილული დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგებით დასტურდება, რომ ინდიკატორის 5.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

4. პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. დაწესებულებაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია მისი პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ნებისმიერ სასწავლო და სამუშაო დროს ისარგებლონ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის მომსახურებითა და კონსულტაციით.

კოლეჯის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული ტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზში განთავსებული კომპიუტერებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად, პაროლის გარეშე. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა ასევე რეგულირდება კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით. **გამომდინარე აქედან, ინდიკატორის 5.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

5. დაწესებულებაში პროფესიული განათლების ცენტრში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტის მისამართებს. დაწესებულებას შექმნილი აქვს მათი ელექტრონული ფოსტების ერთიანი ბაზები. გარდა ამისა, ცენტრი შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებსა და ე.წ ჩატებს სოციალურ ქსელში, აღნიშნული დასტურდება როგორც პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან გასაუბრების შედეგებით ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებლებთანაც. გამომდინარე აქედან, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენების პრაქტიკა. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- IT ტექნოლოგიების რისკების მართის წესი;
- IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქცია-მოვალეობები;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი;
- პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებები, ვებგვერდის და სოციალური ქსელის დათავლიერების შედეგები;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დამატასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შემუშავებული საერთო საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საქმისწარმოება, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებას, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხს, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნასა და ეფექტური სამუშაო პროცესის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.2.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. კოლეჯი იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას E-flow. ასევე, დაწესებულება თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა სახის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას. როგორიც არის, ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც ხდება დაინტერესებული პირებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცნობა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, სოციალური გვერდი, ელექტრონული ფოსტის მისამართები, MS Office-ს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი OpenBiblio და სხვა. დაწესებულება ასევე იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას. დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა, უზრუნველყოფს დაწესებულებაში მიღებული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა სახის კორესპონდენცია იგზავნება და მიიღება ელექტრონულად. **გამომდინარე აქედან, ინდიკატორის 5.2.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.**

3. დაწესებულებაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ვიზიტის ფარგლებში, პასუხისმგებელმა პირმა, უზრუნველყო ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, რომლის ფარგლებშიც, შერჩევითი სახით გადამოწმდა სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია, აქვთ მცირეოდენი დოკუმენტაცია შესავსები, თუმცა არაარსებითი სახის. ყველა ძირითადი დოკუმენტი ატვირთულია. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სრულყოფილი ინფორმაციის ასახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.**

4. აღნიშნული ინდიკატორი გადამოწმდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რასთან მიმართებითაც ირკვევა, რომ კოლეჯი მართვისას იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. კერძოდ, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას (E-Flow), რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში შემოსული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას. დაწესებულებას ასევე ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებაზე. აღნიშნული საკითხი შემოწმდა ასევე ვიზიტისას, პასუხისმგებელი პირის მიერ, მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენციის ფარგლებში, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორის 5.2.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (E-Flow) შემოწმების შედეგები;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია / შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შემოწმების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შემდეგი მისამართით: https://equator.ge და სოციალური ქსელის გვერდი: (7) Facebook საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი. ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი).

სოციალური ქსელი იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია პოსტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, სხვადასხვა კონკურსების, მიღებების, ჩარიცხვებისა და დაწესებულებაში განხორციელებული სხვადასხვა სახის ვიზიტების შესახებ. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია დაწესებულების წესდება, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმების ანგარიშები, სხვადასხვა მარეგულირებელი და იურიდიული დოკუმენტები, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ, სტრუქტურა და სხვა. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია სიახლეების ველი, სხვადასხვა სახის კითხვარები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, ინფორმაცია პერსონალზე და სხვა. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.3.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

თუმცა, დაწესებულების ვებ-გვერდზე ზოგიერთ შემთხვევაში გაძნელებულია საჭირო ინფორმაციის მოძებნა რთული ნავიგაციის გამო. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულებას ეძლევა **განმავითარებელი სახის რეკომენდაცია: დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.**

2. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიული განთლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდი ქართულენოვანია. ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

3. დაწესებულებაში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კოლეჯის ვებ-გვერდისა და Facebook-ის ოფიციალური გვერდის ადმინისტრირებას, მათ შორის განსათავსებელი მასალების მომზადებას. ამზადებს პრეს-რელიზებს, ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს.

საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას და ოფიციალურ Facebook გვერდს სოციალურ ქსელებში. აღნიშნულ გვერდებზე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

დაწესებულება საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს კოლეჯის ,, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება, უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული 2024 წლის კატალოგი, რომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.3.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

5. დაწესებულების ვებგვერდზე გეგმიურად ყოველწლიურად ახლდება საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგები ახლდება ახალი პროგრამების დამატებისა და/ან არსებულ პროგრამებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაშიც, რაც ასევე დადასტურდა გასაუბრებისას. **გამომდინარე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან, ინდიკატორის 5.2.3.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

6. დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს Facebook სოციალური ქსელიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია.

კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება, ხოლო ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები გამოიყენება საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვისას. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის, რასაც წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით. საჭიროების შემთხვევაში, საკითხის განხილვა ხდება ხარისხის სამსახურთან ერთად. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.3.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://equator.ge,
- დაწესებულების Facebook სოციალური ქსელის გვერდი: (7) Facebook საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი;
- ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი";
- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი https://www.tsu.ge/ka/vocational-center/page/1623;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტი, რომლის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა თუ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა მათ გააჩნიათ შემოსავლების სხვა წყაროებიც.. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტი ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ.

დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულების თანამშრომლები.

პროფესიული განათლების განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამოქმედო სამოქმედო გეგმები. აღნიშნულ გეგმებში დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის საჭირო აქტივობებზე, მითითებულია კონკრეტული აქტივობისთვის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.3.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გთვალისწინებულია ყველა ძირითადი კომპონენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საოპერაციო ხარჯები, **შესაბამისად ინდიკატორის 5.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

3. დაწესებულებამ აწარმოებს ფინანსურ ანგარიშს ყოველკვარტლურად და წლიურად. იგი ასაჯაროვებს მას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, იგი ამ ანგარიშებს იყენეს საკუთარი საქმიანობის ფინანსური მდგრადობის ანალიზისა და შფასებისთვის. **გამომდინარე აქედან, ინდიკატორის 5.3.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

4. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა წინა წლების სრული ფინანსური და 2024 წლის 6 თვიანი ფინანსური ანგარიში. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს ყოველწლიურ მონიტორინგს და ასახავს სამოქმედო გეგმების ანგარიშში, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების ნაწილსაც. მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად იგეგმება გარკვეული სამუშაოები და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები პასუხისმგებელი სტრუქტურების/პირების მიერ. ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების შედეგებს ითვალისწინებს სამომავლო გეგმის შემუშავებისას. **გამომდინარე აქედან, განხილული დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებიდან დგინდება, რომ ინდიკატორის 5.3.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კილეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- კოლეჯის 2024 წლის ბიუჯეტი;
- ვებგვერდზე განთავსებული წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- კოლეჯის ბოლო 5 წლის დაფინანსების დინამიკა;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ბათუმი, შავშეთის 33, ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი 2.
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის N10 ბრძანებით შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და დამატების შესახებ ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის დამატების ინიცირებას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად. გადაწყვეტილებას პროგრამის დამატებისა და პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ იღებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, სამუშაო ჯგუფში შედის, დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შესაძლებელია, ჯგუფში შედიოდეს დამსაქმებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული პროგრამის პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიას და ეფუძნება დაინტერესებული მხარეების დარგის სპეციალისტის/პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის ანალიზს.

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ვადები და პროცედურა, აგრეთვე პროფესიულ პროგრამაზე წარსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით.

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 25-ე მუხლით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრის“ წესს, რომლის მიხედვით, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის 2.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლისს 11 თებერვლის N02/ა ბრძანებით. პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N00008130 ბრძანების მე-6 მუხლის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური".იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. **ინდიკატორის 2.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები.

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 88 კრედიტს. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები (6 მოდული) - 17 კრედიტის მოცულობით;
- პროფესიული მოდულები (7მოდული) – 71 კრედიტის მოცულობით.
- პროგრამის ხანგრძლივობაა -61 კვირა.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია http://www.equator.ge/?lang=ge&do=page&id=1;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური";
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის" წესი;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია";

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნებისთვის დაწესებულებას მფლობელობაში აქვს უძრავი ქონება, შენობა, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმი, შავშეთის ქუჩა N29.

კოლეჯს პროგრამის განხორციელებისთვის აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამის თეორიული ნაწილი ხორციელდება ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N29, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისთვის კოლეჯს ბათუმგორის ჩიხი N2 მისამართზე მოწყობილი აქვს აუზი, სტანდარტებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდულის განხორციელებისთვის და ასევე გემის მექანიზმების ტექნიკური მომსახურება/რემონტის მოდულის განხორციელების შესაბამისი სახელოსნო.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 A და 2 B გარემოები. A გარემო აღჭურვილია 30 - 30 პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულებას აქვს 1 კაბინეტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და 1 საკონფერენციო ოთახი 40 პროფესიული სტუდენტისათვის. A გარემოს თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორები, ეკრანები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები, B გარემოს 1 ოთახში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისთვის პერსონალური კომპიუტერები, ხოლო მეორეში 10 კომპიუტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C გარემოში განთავსებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, საბურღი დაზგა, 200 კვ-ტიანი შიგა წვის ძრავი, დიზელგენერატორი, დამხმარე მექანიზმები, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და ხანძართან ბრძოლის წვრთნების ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შესაბამისობაშია სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან და ასევე აკმაყოფილებს საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ელექტროენერგია დაწესებულებას მიეწოდება ქალაქის ელექტრო ქსელის მეშვეობით. შენობაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა და ასევე დამონტაჟებულია კონდიცირება/გათბობის სისტემა. არის სანიტარული ნორმების შესაბამისი სველი წერტილები. სასწავლო ოთახები განლაგებულია ისე, რომ ხდება მათი ბუნებრივი განათება.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 26 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 14 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია, რაც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში იქნა გადამოწმებული. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათი უფლება-მოვალეობები გაწერილია დირექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის N00007766 ბრძანებით დამტკიცებული „შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 და მე-4 მუხლებში. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების აქტივობებს, რომელთა დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სერტიფიკატები წარმოდგენილი იქნა ვიზიტის დროს. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლებს კოლეჯის ორგანიზებით ჩატარებული ჰქონდათ შიდა და მოწვეული სპეციალისტების ტრენინგები შემდეგ თემებზე: ,,ეფექტური სწავლება პროფესიულ განათლებაში, სწავლება და შეფასება"; ,,შეფასების სიტემა პროფესიულ განათლებაში, პროცესი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება"; ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება", ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები"; ,,კომპეტენციებზედაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში", ასევე ახალდამატებულ მასწავლებლეისთვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე: ,,სწავლა სწავლების მეთოდები", ,,სწავლების სტრატეგიები და შეფასების სისტემა" და ,,კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება". ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობაზე დაკვირვებით დაადგინეს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; **შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის N00007766 ბრძანებით დამტკიცებული „შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-2 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პირი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება. ამავე მუხლში პუნქტობრივადაა გაწერილი პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციაში, ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში, პრაქტიკის განხორციელებაში და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, პროგრამის ხელძღვანელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრას, დარგში სიახლეების გაცნობა-დანერგვას. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

5. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შპს „სსსც ეკვატორში" ბიბლიოთეკის დათვალიერება. დაწესებულებაში ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია ოთახი. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. დაწესებულებას გააჩნია წვდომა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის პორტალთან IMO VEGA, რომლის საშუალებით შესაძლებელია, საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსიების მოძიება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი. შემუშავებულია და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლოს წესი. საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით. საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიების მოძიება შესაძლებელია ინტერნეტით. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის კვირაში 6 დღის განმავლობაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებშუ მითითებულ ლიტერატურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება. დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებას აქვს სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია პანდუსები და არსებობს სათანადოდ მოწყობილი სველი წერტილი, ასევე მოქმედებს დაწესებულების დირექტორის შესაბამისი ბრძანება რომელიც უზრუნველყოფს სსსმ პირების ჩართულობას სასწავლო პროცესში, თუმცა პროგრამის დაშვების წინაპირობის („მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება) და მოდულში არსებული შენიშვნის გათვალისწინებით, მეზღვაურის პროფესიაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ). კერძოდ, კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მიხედვითაც მას უნდა ჰქონდეს სწრაფად მოძრაობის უნარი, უნდა შეეძლოს წონასწორობის შენარჩუნება, ვერტიკალურ და დახრილ ტრაპებზე ასვლა-ჩამოსვლა, წყალგაუმტარი ჰერმეტული კარების გაღება-დახურვა, ხელების მაღლა აწევა, ადგილზე დგომა, სიარული და აქტიურობის შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მუშაობა შეზღუდულ სივრცეებში და ვიწრო გასასვლელებში გადაადგილება. უფლებამოსილი ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ კანდიდატს არ აწუხებს წონასწორობის დარღვევა, არ აქვს ისეთი დაავადება ან სისუსტე, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ მოძრაობას და ფიზიკურ აქტივობას. დახმარების გარეშე შეუძლია ვერტიკალურ და დახრილ ტრაპზე ასვლა-ჩამოსვლა, მაღალ ზღუდეებზე გადაბიჯება, ჰერმეტული კარებების ჩამკეტი მოწყობილობის მანიპულირება და სხვა.

რაც შეეხება სხვა შემთხვევით წარმოშობილ სსმ პირების სტატუსის მქონე პიებისთვის, ინდივიდუალური გეგმების შემუშავების წესი გაწერილია შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ,,ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის (ნდ N2-010108 ქ) მე-2 თავის მე-6 მუხლში, შესაბამისი პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით როგორც შშმ პირებისთვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის, წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში და სხვა შემთხვევებში. ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. ამავე დოკუმენტის მე-11 მუხლის მიხედვით ხორციელდება ადაპტირება, როგორც ტექნიკური საშუალებების, სწავლის შედეგების მიღწევის გზების, სასწავლო მასალებისა და სხვ. კოლეჯს მოწყობილი აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. კოლეჯს დღეისათვის არ ყავს სსსმ და შშმ პირები, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, მათ მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. დაწესებულების ფუნქციონირება ფინანსურად უზრუნველყოფილია. გარდა უშუალოდ სასწავლო მიზნებისთვის გაწეული ხარჯისა, 2022 წლის განმავლობაში დაწესებულების მიერ სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სიმულატორების შესაძენად ათვისებული იქნა 466 000 ლარი. საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ბიუჯეტია 693140 ლარი, იგი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ვაუჩერით. ბიუჯეტის 67 % დათმობილი აქვს სწავლების კრებსით ხარჯებს, 2% პროგრამის განვითარების ხარჯებს, დანარჩენი კი პროგრამის მომსახურებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 24 პროფესიული სტუდენტი.

შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლა;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში 2020 წლის 30 ივნისის N10 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან, მუდმივად ნერგავს სიახლეებს, ეცნობა საუკეთესო პრაქტიკის ადგილობრივ და საერთაშორისო მაგალითებს. ამავდროულად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები, აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, **უკუკავშირი კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან, პროფესიული სტუდენტებისგან, საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისგან, რომლის შედეგების ანალიზსაც იყენებს პროგრამის განხორციელების გასაუმჯობესებლად.**

თუმცა, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია დაიხვეწოს და განვითარდეს კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული კითხვარები.

საერთო ჯამში, ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მონიტორინგს, შეფასებას, განვითარების ინიცირების მექანიზმებს. ძირითადად დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებს, პროგრამის განმახორციელებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, რომლებიც მიიღება სხვადასხვა სახით:კითხვარებით, შეხვედრებითა თუ ნებისმიერი არხით შეფასებების მიღებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისდ ფარგლებში ინტერვიებისას აღინიშნა, რომ დღემდე განსახილველი პროგრამის ფარგლებში ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ მომხდარა. ამ ეტაპზე კი ისინი თანამშრომლობენ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან. ასევე , აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია, წარადგინოს ინიციატივა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში შესაბამისი ცვლილებებთან დაკავშირებით. **გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- კითხვარები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის 2024 წლის გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტი, საკონტაქტო საათები,სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ხორციელდება სასწავლო გემის დაცვით. სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო პროცესის შესახებ ხდება დროული ინფორმირება პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასაც.

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად დაწესებულების A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. დაწესებულება სწავლებისას იყენებს თანამედროვე სიმულატორებსა და ტრენაჟორებს, კომპიუტერულ პროგრამებს. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

4. დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერა. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შემთხვევა, როდესაც პროფესიულ სტუდენტის სწავლება ძირითადად სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. აღნიშნული ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში დაწესებულება უზრუნველყოფს მაქსიმალურად მორგებულს სასწავლო გეგმას, რომელსაც შეიმუშავებს თავად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. ჩარჩო დუკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის რეალიზებისთვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და შპს „ლმნტ“ გემ ახტიართან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუსას იქნა გარკვეული, ხელშეკრულებები ფორმდება 1 წლის ვადით, თუმცა მნიშვნელოვანია პრაქტიკის განხორციელების ობიექტთან გაფორმებულ იქნას მემორანდუმები არანაკლებ 3 წლის ვადით. შპს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული ხელშეკრულებას ვადა ეწურება 17 ნოემბერს, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი, რომლითაც დადასტურდა, ხელშეკრულების გაგრძელების სურვილი. თუმცა ასევე დადასტურდა, რომ ამ ეტაპზე შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მცურავ საშუალებებზე, სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებები არ ხორციელდება. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, კერძოდ შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორსა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გემ კადეტზე. ხელშეკრულების შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ვალდებულია მიიღოს თავის მცურავ საშუალებაზე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული უნარ ჩვევების დაუფლების ხელშეწყობის მიზნით. გემზე ვიზიტისას, ექსპერტების მიერ მოხდა გასაუბრება, სტუდენტებთან, გემის კაპიტანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, ყველა სტუდენტი აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ტექნიკის დამცავი საშუალებებით.

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და

6.დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში. დაკმაყოფილებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები, რომელსაც აცნობენ პროფესიულ სტუდენტს და აწარმოებენ შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჟურნალებს. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუ;
- პრაქტიკის ობიეტთან ვიზიტი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.

შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი და ვერიფიკაციის გეგმა. ვერიფიკაციის მექანიზმი სტანდარტულად მოიცავს რისკების შეფასების სისტემას, ვერიფიკაციის პროცედურას, ვერიფიკაციის მიმართულებებს და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს. დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი სრულდება ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, რასაც ადასტურებს განსახილველი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ვერფიკაციის დოკუმენტაცია.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ინდიკატორის 2.4.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. დაწესულება ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, რაც დათვალიერებული იქნა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. დაწესებულება აწარმოებს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებებს ფიზიკური ან/და ელექტრონულ მატარებლებზე ინახავენ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისებს კი უვადოდ, აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებშიც.

ინდიკატორი 2.4.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებებთან, რომელთა განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.4.2.4. შეფასდა როგორც შესაბამისი და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
23.12.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: